ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია 16 აპრილს ქალაქ თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. შეხვედრას სტუდენტები და პროფესორ–მასწავლებლები ესწრებოდნენ.

შეხვედრის ფარგლებში ღია მმართველობა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა ქეთი ცანავამ და სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ირაკლი ლომიძემ შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრა ინფორმაციის თავისუფლების სფეროში მიმდინარე რეფორმისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ მსჯელობით დაიწყო. შეხვედრის მონაწილეები თვლიან, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება უნდა ეხებოდეს ყველა დონის ადმინისტრაციულ ორგანოს, მათი მოსაზრებით, მნიშვნელოვანია პროცესში ჩაერთონ ადგილობრივი თვითმმართველობებიც მათი კომპეტენციების მნიშვნელობიდან გამომდინარე. შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მიესალმებიან საჯარო დაწესებულებების ვებგვერდებზე საჯარო ინფორმაციის განთავსებას და აქტიურად იყენებენ მას.

- შეხვედრაში მონაწილე სტუდენტებმა სურვილი გამოთქვეს საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ. ამასთან, მათი აზრით, გამოცხადებული ვაკანსიების პროფესიული მოთხოვნები ხშირად ზედმეტად მაღალ მოთხოვნებს უყენებს მუშაობის დაწყების მსურველებს, რაც პირველ რიგში, სტუდენტებს აზარალებს. ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა მაგალითის სახით საკუთარი გამოცდილება მოიყვანა, როდესაც საჯარო სექტორში სამსახურს იმის გამო ვერ იწყებს, რომ თითქმის ყველა ვაკანსიაზე მოთხოვნილია მაგისტრის ხარისხი და სამუშაო გამოცდილება. ამასთან, სტუდენტები მიიჩნევენ, რომ არამხოლოდ კონკურსის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, არამედ გამჭვირვალე უნდა იყოს გამოცხადებული კონკურსის შედეგიც - თუ როგორი პროფესიული გამოცდილების პირი დაინიშნა კონკრეტულ პოზიციაზე.

- შეხვედრის მონაწილე პროფესორ–მასწავლებლები თვლიან, რომ საქართველოს ყველა სამინისტრო უნდა ჩაერთოს ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმაში და აიღოს ვალდებულებები მათი კომპეტენციის ფარგლებში, რათა უზრუნველყონ მეტი ღიაობა და ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპებთან შესაბამისობა.

- შეხვედრის მონაწილე სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ისაუბრეს ელექტრონული პეტიციების პორტალის შექმნის იდეაზე. მათი აზრით, აღნიშნულს განსაკუთრებით აქტიურად სტუდენტები გამოიყენებენ, ვინაიდან მათ ფართო ხედვა და განსაკუთრებით გამორჩეული თავისუფალი აზროვნების უნარი გააჩნიათ. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სასურველია მთავრობამ უფრო ხშირად დაგეგმოს ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაციების მსგავსი შეხვედრები და მასში ჩართოს საზოგადოების ყველა ფენა.

- შეხვედრის მონაწილეებმა მოიწონეს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავების იდეა. მათი აზრით, აღნიშნული გაზრდის გამჭვირვალობის ხარისხს და თანამდებობის პირებს გახდის მეტად ანგარიშვალდებულს საზოგადოების წინაშე.

- შეხვედრის ბოლოს დამსწრე საზოგადოებას მოქალაქის პორტალი და მასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები წარედგინა. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ის ფაქტი, რომ მოქალაქის პორტალის შესახებ დამსწრე საზოგადოების მხოლოდ ნაწილმა იცის, ნიშნავს, რომ საჭიროა დაიგეგმოს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, რათა საზოგადოებამ იცოდეს, რომ არსებობს ონლაინ მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებლის კომფორტზე და სერვისების სწრაფად მიღებაზე.